# საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა

| | პრიორიტეტული ღონისძიება | აქტივობა | შესრულების ინდიკატორი | პასუხისმგებელი უწყება | პარტნიორი ორგანიზაცია | საპროგნოზო ბიუჯეტი (ათასი ლარი) | | | დაფინანსების წყარო | კომენტარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 2018 | 2019 | 2020 | | |
| **1. ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა** | | | | | | | | | | |
| 1 | **ამოცანა 1: ფერმერული საქმიანობის ეკონომიკური გაჯანსაღება, რესტრუქტურირება და მოდერნიზაცია. დივერსიფიკაციისა და ეფექტიანი მიწოდების ჯაჭვის განვითარების მეშვეობით.** | 1.1.1 შეღავათიანი აგროკრედიტი | *** 2018 წელს** დაფინანსდება 70 ახალი ან არსებული საწარმოს გაფართოება/გადაიარაღება/მოდერნიზება. გაგრძელდება გაცემული სესხების თანადაფინანსება.<br>* **2019 წელს** დაფინანსდება 65 ახალი ან არსებული საწარმოს გაფართოება/გადაიარაღება/მოდერნიზება. გაგრძელდება გაცემული სესხების თანადაფინანსება.<br>*** 2020 წელს** დაფინანსდება 65 ახალი ან არსებული საწარმოს გაფართოება/გადაიარაღება/მოდერნიზება. გაგრძელდება გაცემული სესხების თანადაფინანსება. | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო | | 45,000.0 | 49,000.0 | 74,000.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 1.1.2 ახალგაზრდა მეწარმეების განვითარების პროგრამა | * 2018 წელს დაფინანსდება 100 ახალგაზრდა მეწარმე<br>* 2019 წელს დაფინანსდება 100 ახალგაზრდა მეწარმე<br>* 2020 წელს დაფინანსდება 37 ახალგაზრდა მეწარმე | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო | | 3,000.0 | 5,450.0 | 3,245.4 | სახელმწიფო ბიუჯეტი; დონორი ორგანიზაციები | |
| | | 1.1.3 დანერგე მომავალი | *** 2018 წელს** გაშენდება/ დაკონტრაქტდება 1,200 ჰა ახალი ბაღი.<br>*** 2019 წელს** გაშენდება/ დაკონტრაქტდება 1,600 ჰა ახალი ბაღი.<br>*** 2020 წელს** გაშენდება/ დაკონტრაქტდება 2,100 ჰა ახალი ბაღი | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო | | 8,000.0 | 10,000.0 | 16,550.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 1.1.4 შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება | *** 2018 წელს:** დასრულდება 8 გადამამუშავებელი საწარმოს და 8 შემნახველი საწარმოს შექმნა (ჯამური ტევადობით 6 000-7 000 ტონა)<br>არანაკლებ 12 საწარმოში დაინერგება HACCP/ISO 22000 სტანდარტები. საწარმოებში დასაქმდება (სეზონურის ჩათვლით) 1,600-ზე მეტი ადამიანი.<br>* **2019 წელს**: დასრულდება 8 გადამამუშავებელი და 7 შემნახველი საწარმოს შექმნა.<br>* **2020 წელს** დასრულდება 6 გადამამუშავებელი და 15 შემნახველი საწარმოს შექმნა. | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო | | 5,000.0 | 10,000.0 | 12,200.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 1.1.5 მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა | *** 2018 წელს** 15-მდე კოოპერატივს გადაეცემა სატრანსპორტო მისაბმელი სკების გადაადგილებისათვის.<br>*** 2019 წელს** 15 კოოპერატივს გადაეცემა 750 სკა, ან/და 5 საწური, ან/და 5 ფიჭის ასათლელი დანა.<br>*** 2020 წელს** დაფინანსდება 7 კოოპერატივის თაფლის წარმოებისათვის საჭირო ხელსაწყო/დანადგარებით აღჭურვა | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო | | 200.0 | 150.0 | 107.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 1.1.6 კოოპერატივებში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია | ***2018 წელს** მოეწყობა 2 ადგილობრივი გამოფენა-გაყიდვა<br>***2019 წელს** მოეწყობა 2 ადგილობრივი გამოფენა-გაყიდვა; არანაკლებ 3 კოოპერატივში დაინერგება HACCP სისტემა | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო | | 210.0 | 200.0 | 0.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 1.1.7 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურის განვითარება | *** 2018 წელს** გადამამუშავებელი დანადგარებით აღიჭურვება 15 კოოპერატივი. აშენდება თაფლის გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც გადაეცემა არანაკლებ 35 კოოპერატივს მიერ დაფუძნებულ კოოპერატივს.<br>* **2019 წელს** გადამამუშავებელი დანადგარებით აღიჭურვება 10 კოოპერატივი.<br>*** 2020 წელს** დაფინანსდება 10 კოოპერატივის გადამამუშავებელი დანადგარებით აღიჭურვა. | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო | | 5,000.0 | 4,500.0 | 4,493.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 1.1.8 კოოპერატივების მეპაიეთა კვალიფიკაციის ამაღლება და ტრეინინგი | * **2018 წელს** კოოპერატივების არანაკლებ 350 მეპაიეს ჩაუტარდება ტრეინინგი დარგობრივი და მენეჯმენტის მიმართულებებით. | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო | | 200.0 | 0.0 | 0.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 1.1.9 მაღალმთიანი რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენება | *** 2018 წელს** უკანაფშავის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული კოოპერატივისათვის აშენდება და ტექნიკით აღიჭურვება რძის გადამამუშავებბლი საწარმო. | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო | | 1,000.0 | 0.0 | 0.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 1.1.10 სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომა და მდგრადობა | * **2018 წელს** გაუმჯობესდება სარწყავი წყლის მიწოდება 1,350 ჰექტარზე; ჩატარდება მიწის აღდგენითი სამუშაოები 2 ობიექტზე; გაიცემა 40 გრანტი კერძო პირებისათვის და 8 გრანტი აგრობიზნესისათვის; მოეწყობა 3 სადემონსტრაციო ნაკვეთი, გადამზადდება 300 ფერმერი.<br>* **2019 წელს** გაუმჯობესდება სარწყავი წყლის მიწოდება 1,000 ჰექტარზე; ჩატარდება მიწის აღდგენითი სამუშაოები 2 ობიექტზე; გაიცემა 70-მდე გრანტი კერძო პირებისათვის და 6-მდე გრანტი აგრობიზნესისათვის. მოეწყობა 2 სადემონსტრაციო ნაკვეთი და გადამზადდება 200 ფერმერი.<br>*** 2020 წელს** გაუმჯობესდება სარწყავი წყლის მიწოდება 650 ჰექტარზე; სწავლებას გაივლის 80 ფერმერი; გაიცემა 50-მდე გრანტი პირველადი წარმოებისთვის. | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | IFAD | 18,675.0 | 10,000.0 | 9,800.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი; დონორი ორგანიზაციები | ამ აქტივობაში არ არის ცალკე გამოყოფილი, ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო"-ს მიერ განხორციელბული "სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მდგრადობის პროექტის საგრანტო კომპონენტი (GEF, IFAD)", რომელიც 2018 წელს, დონორების მხრიდან დაფინანსდება 5,000,000 ლარით (შედის 18,675,000 ლარში). |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1.1.11 სამელიორაციო სისტემების მშენებლობა და რეაბილიტაცია | *** 2018 წელს** რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობი გაიზრდება 8.5 ათასი ჰექტარით. სარწყავ მიწებზე წყლით უზრუნველყოფა გაუმჯობესდება 7.1 ათას ჰა-ზე. განხორციელდება 0.5 ათასი ჰა მიწის ფართობის დაშრობა;<br>*** 2019 წელს** რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობი გაიზრდება 3.2 ათასი ჰექტარით. სარწყავ მიწებზე წყლით უზრუნველყოფა გაუმჯობესდება 12.7 ათას ჰა-ზე. განხორციელდება 1.2 ათასი ჰა მიწის ფართობის დაშრობა. მიწის ფართობებიდან ჭარბი წყლის მოცილება განხორციელდება10.5 ათასი ჰა-ზე;<br>*** 2020 წელს** რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობი გაიზრდება 6.8 ათასი ჰექტარით. სარწყავი მიწის წყლით უზრუნველყოფა გაუმჯობესდება11.5 ათასი ჰა-ზე. მიწის ფართობების დაშრობა განხორციელდება 3.6 ათას ჰა-ზე. მიწის ფართობებიდან ჭარბი წყლის მოცილება განხორციელდება 9.7 ათას ჰა-ზე | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / შპს „საქართველოს მელიორაცია“ | | 0.0 | 36,000.0 | 32,000.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი; დონორი ორგანიზაციები | 2018 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო სახსრები გათვალისწინებულ იქნა 2017 წლის ბიუჯეტში |
| | | 1.1.12 ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება | *** 2018 წელს** დასრულდება სამი მაგისტრალური არხის რეაბილიტაცია, შედეგად გაუმჯობესდება წყალუზრუნველყოფა - 20,000 ჰა-ზე;<br>* **2019 წელს** დასრულდება სამი სარწყავი სისტემის შიდა ქსელების დეტალური საინჟინრო პროექტირება; მომზადდება კანონპროექტი წყალმომხმარებელ ორგანიზაციების შესახებ; დასრულდება 2 წყალსაცავის კაშხლების უსაფრთხოების პროექტირება;<br>*** 2020 წელს** ჩამოყალიბდება 2 წყალმომხმარებელთა ორგანიზაცია საპილოტე რეგიონებში; დაწყებულია 2 წყალსაცავის კაშხლების რეაბილიტირების სამუშაოები და მონიტორინგის და უსაფრთხოების სისტემების დანერგვა; სამი სარწყავი სისტემის შიდა ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაწყებულია და სამუშაოების 10% შესრულებულია. | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | მსოფლიო ბანკი | 20,566.0 | 9,800.0 | 19,150.0 | მსოფლიო ბანკი | |
| | | 1.1.13 ქართული ჩაის წარმოების ხელშეწყობა | * **2018-2019** წლებში განხორციელდება 7 კოოპერატივის საწარმოო დანადგარებით აღჭურვა<br>* **2019 წელს** განხორციელდება 5 კოოპერატივის ჩაის გადამამუშავებელი საწარმოო დანადგარებით აღჭურვა<br>*** 2020 წელს** დაფინანსდება ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის 2 პროექტი | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო | | 900.0 | 500.0 | 500.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 1.1.14 მოსავლის ამღები ტექნიკის თანადაფინანსების პროექტი | **2021 წელს** განხორციელდება 35 ბენეფიციარისთვის მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო | | | | 4,000.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 1.1.15 აგროწარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა | *** 2020 წელს** 350 ბენეფიციარს დაუფინანსდება ან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა ან სასათბურო მეურნეობის მოწყობა ან სარწყავი სისტემების მოწყობა | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო | | | | 10,000.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 1.1.16 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა | *** 2020 წელს** დაფინანსდება 300,000-მდე ფერმერი (დაერიცხება სარგებელი) | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო | | | | 42,000.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 1.1.17 მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამა | *** 2020 წელს** გადამზადდება 100 ბენეფიციარი. გაიცემა 60 მიზნობრივი გრანტი. მერძევეობის სექტორში არსებული და მოსალოდნელი გამოწვევებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და მათი მართვის მიზნით შეიქმნება 1 პლატფორმა რეგიონალურ დონეზე | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | DiMMA; IFAD | | | 4,000.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი; დონორი ორგანიზაციები | |
| **1** | **ამოცანა2. სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია სოფლის მეურნეობასთნ დაკავშირებული ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერებით და მდგრადი არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებების განვითარების საშუალებით** | 1.2.1 მეწარმეობის განვითარება | * **2018 წელს** რეგიონებში სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში, ბენეფიციარი კომპანიების კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსების მიმართულებით ყოველწლიურად მხარი დაეჭირება დაახლოებით 8 ახალ ან/და არსებული საწარმოს გაფართოების პროექტს.<br>* **2019 -2020 წლებში** რეგიონებში სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში, ბენეფიციარი კომპანიების კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსების მიმართულებით ყოველწლიურად მხარი დაეჭირება დაახლოებით 10 ახალ ან/და არსებული საწარმოს გაფართოების პროექტს. | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ აწარმოე საქართველოში | | 1,800.0 | 4,000.0 | 4,000.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| **1** | **ამოცანა 3. სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება სოფლის სპეციფიკისა და უნიკალური კულტურული იდენტობის საფუძველზე.** | 1.3.1 ტურიზმის განვითარება | * **2018 წელს** რეგიონებში სახელმწიფო პოგრამის "აწარმოე საქართველოში" სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულების ფარგლებში ყოველწლიურად მხარი დაეჭირება დაახლოებით 5 ახალ ან/და არსებული სასტუმროს გაფართოების პროექტს.<br>* **2019-2020 წლებში** რეგიონებში სახელმწიფო პოგრამის "აწარმოე საქართველოში" სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულების ფარგლებში ყოველწლიურად მხარი დაეჭირება დაახლოებით 15 ახალ ან/და არსებული სასტუმროს გაფართოების პროექტს. | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/სსიპ აწარმოე საქართველოში | | 1,200.0 | 2,000.0 | 2,000.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 1.3.2 ტურიზმის განვითარება და ხელშეწყობა | * **2018-2020 წლებში** დამატებით შექმნილი იქნება 3 ტურისტული პროდუქტი (ყოველ წელს), დამატებით მცირე 2 ინფრასტრუქტურული პროექტი იქნება შექმნილი (ყოველ წელს); 2018-2020 წლებში, წლიურად გადამზადებული იქნება ტურიზმის სექტორის 600 წარმომადგენელი; | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია | | 600.0 | 700.0 | 700.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | ცდომილება მაქსიმუმ შეიძლება იყოს 15%-იანი ალბათობით. რაც შეეხება ქალაქებსა და სოფლებზე გადანაწილებას ვერანაირად ვერ დაიყოფა ვინაიდან არც ერთი პროექტი არაა განსაზვრული ინდივიდუალური ადგილისთვის. მაგ: სამთო-საფეხმავლო ბილიკები მოიცავს არაერთ სოფლის მთას და მათ შორის შეიძლება იყოს ქალაქის მიმდებარე ტერიტორიებიც. ასევე პროექტი ,, ღვინის გზა "- ობიექტები მთელი ქვეყნის მასშტაბითაა და მათ შორის, შეიძლება იყოს გარკვეული მარნები ქალაქის ტერიტორიაზეც. ვერ გამოიყოფა მათ შორის, რამდენი იქნება მომავალში ისეთი საწარმო, რომელიც ქალაქს იქნება მიკუთვნებული. ძირითადად ამ ტიპის ობიექტები სოფლად გვხვდება. |
| | | 1.3.3 რეგიონებში კულტურის მხარდაჭერა | *** 2018 წელს** რეგიონებში კულტურის სფეროში განხორციელდება 15 პროექტი და კულტურული ღონისძიებები ჩატარდება 30 მუნიციპალიტეტში;<br>*** 2019 წელს** რეგიონებში კულტურის სფეროში განხორციელდება 15 პროექტი;<br>*** 2020 წელს** რეგიონებში კულტურის სფეროში განხორციელდება 15 პროექტი. | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 1,517.0 | 1,517.0 | 500.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1.3.4 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა | * რეგიონებში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტირებული და რეაბილიტაციის პროცესში მყოფი ძეგლების ყოველწლიური მაჩვენებელი 40 | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო / კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო | | 3,101.0 | 3,101.0 | 8,085.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 1.3.5 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა | * **ყოველწლიურად** განხორციელდება რეგიონებში სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული 11 სსიპ-ის ( მუზეუმების, მუზეუმ-ნაკრძალების, სახლ-მუზეუმების) დაფინანსება | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 983.0 | 983.0 | 1,851.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **სულ ბიუჯეტი პრიორ. 1** | | | | | **116,952.0** | **147,901.0** | **249,181.4** | **სულ 2018-2020 წწ. ბიუჯეტი:** | **514,034.4** |
| | **2. სოციალური პირობები და ცხოვრების დონე** | | | | | | | | | |
| **2** | **ამოცანა 1. ცნობიერების ამაღლება ინოვაციების და მეწარმეობის მიმართულებით. ასევე, თანამშრომლობის წახალისება უნარ-ჩვევების განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობით (განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ქალებისათვის).** | 2.1.1. ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის ფორმირება და განვითარება (IBRD) | * **2018 წელს** გაიცემა: ა) ინტერნეტში ჩართვის 1,200 ვაუჩერი შინამეურნეობებისთვის ბ) ინტერნეტში ჩართვის 250 ვაუჩერი მეწარმეებისთვის.<br>* **2019 წელს** გაიცემა: ა) ინტერნეტში ჩართვის 150 ლარიანი ვაუჩერი 4,500 ფიზიკური პირისთვის; ბ) ინტერნეტში ჩართვის 200 ლარიანი ვაუჩერი 1350 მეწარმეებისთვის.<br>* **2020 წელს** გაიცემა: ა) ინტერნეტში ჩართვის 150 ლარიანი ვაუჩერი 400 ფიზიკური პირისთვის. | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ-საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო | | 230.0 | 1,000.0 | 120.0 | IBRD | |
| | | | * **2018 წელს** გადამზადდება: ა) ციფრულ წიგნიერებასა და პროგრამირების ენებში 1,600 ბენეფიციარი ბ) ელექტრონულ წიგნიერებაში 300 მეწარმე.<br>* **2019 წელს** გადამზადდება: ა) საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში 900 სპეციალისტი; ბ) ინოვაციების აქსელერაციის პროგრამის 1800 ბენეფიციარი;<br>* **2020 წელს** გადამზადდება:ა) საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში 250 სპეციალისტი; ბ) 10 სტარტაპ აქსელერაცია | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ-საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო | | 320.0 | 1,000.0 | 4,959.0 | IBRD | <u>**განმარტება:**</u><br>***ციფრული წიგნიერება:*** ინტერნეტი, კომპიუტერი, საოფისე პროგრამები.<br>***ელექტრონული წიგნიერება:*** ელექტრონული კომერცია, ელექტრონულლი ბიზნესი, ელექტრონული მმართველობა |
| | | | * **2018 წელი -** შეიქმნება და აღიჭურვება 2 ინოვაციების ცენტრი და 1 ინოვაციების ჰაბი;<br>* **2019 წელი -** შეიქმნება და აღიჭურვება 2 ინოვაციების ცენტრი და 1 ინოვაციების ჰაბი;<br>* **2020 წელი -** შეიქმნება 1 რეგიონული ტექნოპარკი და 2 ინოვაციების ცენტრი | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ-საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო | | 1,500.0 | 2,000.0 | 1,962.0 | IBRD | მოსალოდნელი შედეგების შეფასების ინდიკატორების მხრივ ცდომილების ალბათობა განისაზღვრება 10 %-ით. (სათანადო ინფრასტრუქტურის/შესაფერისი შენობების არ არსებობა). |
| | | 2.1.2 პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება | * **2018 წელს** ჩატარდება ტრენინგები "მეწარმეობის უნარების განვითარება" პილოტირება: პილოტირებაში მონაწილეობას მიიღებს საჯარო პროფესიული სასწავლებლების მინიმუმ 50 მასწავებელი და 5 დირექტორი;<br>* **2019 წელს** "მეწარმეობის უნარების განვითარება"- ში დატრეინინგდება საჯარო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლების მინიმუმ 10%-ი და დირექტორეების 30%-ი<br>* **2020 წელს** "მეწარმეობის უნარების განვითარება" -ში დატრეინინგდება პროფესიული სასწავლებლების მინიმუმ 200 მასწავლებელი და დირექტორების 50% | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 5.0 | 9.0 | 11.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.1.3 პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა | * **2018 წელს** პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ (სოფლად მცხოვრებ) სტუდენტთა რაოდენობა 2016 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაიზრდება სულ მცირე 2%-ით<br>* **2019 წელს** პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ (სოფლად მცხოვრებ) სტუდენტთა რაოდენობა 2018 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაიზრდება სულ მცირე 2%-ით .<br>* **2020 წელს** პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ (სოფლად მცხოვრებ) სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 2,500 სტუდენტს | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 4,278.6 | 5,800.0 | 3,800.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | **შენიშვნა:** 2018 წლისთვის საბაზისო მაჩვენებელი იქნება 2016 წელი - 4,754 პროფესიული სტუდენტი (გარდა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთისა და რუსთავის პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული სტუდენტებისა) |
| | | 2.1.4 ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება | * **2018 წელს** სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით ისარგებლებს 3300 ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი; საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში გადამზადდება 300 პოტენციური მსმენელი.<br>* **2019 წელს** სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა - 3,300; საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა - 300.<br>***2020 წელს** სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა - 400; საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა - 40 | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 2,300.0 | 2,205.0 | 541.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.1.5 სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლება | * **ყოველწლიურად** რეგიონებში გადამზადდება მინიმუმ 200-350 ბენეფიციარი | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო / სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო | | 2,090.0 | 300.0 | 300.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.1.6 ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება | * **2018 წელს** სხვადასხვა ტიპის ახალგაზრდულ აქტივობებში ჩაერთვება 10,000 ახალგაზრდა<br>* **2019 წელს** სხვადასხვა ტიპის ახალგაზრდულ აქტივობებში ჩაერთვება 12,000 ახალგაზრდა | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 500.0 | 2,550.0 | 0.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.1.7 ანაკლიის „მომავლის ბანაკი“ და „შაორის ბანაკი“ | * **2018 წელს** შემეცნებით-რეკრეაციულ ბანაკებში საქართველოს რეგიონებიდან მონაწილეობას მიიღებს 2,500 ბენეფიციარი<br>* **2019 წელს** შემეცნებით-რეკრეაციულ ბანაკებში საქართველოს რეგიონებიდან მონაწილეობას მიიღებს 3,000-მდე ბენეფიციარი | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 1,000.0 | 1,200.0 | 0.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.1.8 ხელოვნების განვითარების ღონისძიებები | * ყოველწლიურად სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული, 11 რეგიონებში მდებარე 12 სახელოვნებო სსიპ ფინანსდება სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზებისათვის საჭირო თანხით | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 110.0 | 0.0 | 210.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | | * ყოველწლიურად სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული, 11 რეგიონებში მდებარე12 სახელოვნებო სსიპ-ის (რეგიონალური თეატრები) ფუნქციონირების ხარჯების უზრუნველყოფა | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 4,138.0 | 4,248.0 | 3,755.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.1.9 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა | * **2018 წელს** რეგიონებში სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული 2 სსიპ-ის ფუნქციონირების ყოველწლიური დაფინანსებით;<br>***2019 წელს** არანაკლებ 2 სახელოვნებო განათლების სასწავლებლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯით უზრუნველყოფა;<br>***2020 წელს** არანაკლებ 2 სახელოვნებო და სასპორტო განათლების სასწავლებლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯით უზრუნველყოფა. | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 480.0 | 480.0 | 484.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | **ამოცანა 2: ინფრასტრუქტურა და სერვისები. სოფლის ძირითადი ინფრასტრუქტურის (მათ შორის კულტურული მემკვიდრეობების ძეგლებამდე მიმავალი გზებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის) გაუმჯობესება და ხარისხიანი სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის ხელმისაწვდომობა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩათვლით.** | 2.2.1 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება | * ყოველწლიურად სრული ან/და ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდება 350 - მდე სოფლის სკოლას | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 59,440.0 | 40,761.0 | 14,233.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | **შენიშვნა**:დამატებითი გეოგრაფიული შესწავლის შედეგად 2019-2020 წლებისთვის განისაზღვრება ასაშენებელი მცირეკონტიგენტიანი სკოლების რაოდენობა. |
| | | 2.2.2 პროფესიული საგანანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება | **2019** წელს სულ მცირე ერთ მუნიციპალიტეტში დაწყებულია სამუშაოები ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების მიზნით.<br>**2019 წელს** სულ მცირე ერთ მუნიციპალიტეტში განვითარებულია ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება (რეაბილიტაცია, აღჭურვა)<br>**2020 წელს** სულ მცირე ერთ მუნიციპალიტეტში განვითარებულია ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება (რეაბილიტაცია, აღჭურვა) | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 2,500.0 | 2,090.0 | 5,198.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.2.3 საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა | * **ყოველწლიურად** პროგრამის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილია ტრანსპორტით. | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 20,100.0 | 20,100.0 | 12,735.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.2.4 საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა | * 2018-2019 წლებში ყოველწლიურად განხორციელდება 80 საჯარო სკოლის უსადენო (Wi-Fi) ქსელის მოწყობა<br><br>2020 წელს აქტივობა სოფლად არ ხორციელდება. | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 2,000.0 | 2,000.0 | 0.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.2.5 მოსწავლეთათვის ფსიქო-სოციალური მომსახურების უზრუნველყოფა; | * ყოველწლიურად ფუნქციონირებს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრები შემდეგ რეგიონებში: ქვემო ქართლი, კახეთი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, აჭარა-გურია, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთი | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 534.0 | 534.0 | 0.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.2.6 მოსწავლეებისთვის სხვადასხვა ტიპის ბანაკების შეთავაზება | * 2018 წელს სოფლის საჯარო სკოლების არანაკლებ 9,000 მოსწავლე უზრუნველყოფილი იქნება საზაფხულო სკოლებში მონაწილეობის შესაძლებლობით;<br>* 2019 წელს საზაფხულო სკოლებში საქართველოს რეგიონებიდან მონაწილეობას მიიღებს არანაკლებ 1,600- მდე ბენეფიციარი; | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 2,800.0 | 1,300.0 | 0.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.2.7 საინტერესო და სახალისო გარემოს შექმნისა და საჯარო სკოლების გაძლიერების მიზნით სასკოლო აქტივობების ხელშეწყობა | * 2018-2019 წლებში ყოველწლიურად მოსწავლეებისათვის საინტერესო და სახალისო გარემოს შექმნისა და საჯარო სკოლების გაძლიერების მიზნით, ჩატარდება „თავისუფალი გაკვეთილები", რომელშიც ჩაერთვება არანაკლებ 20,000 მოსწავლე (სოფლის სკოლებიდან). | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 900.0 | 400.0 | 0.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.2.8 მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი გაზით მომარაგების გაუმჯობესება | * **2018 წელს** დამატებით 20,000-მდე აბონენტს მიეცემა ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა.<br>***2019 წელს** დამატებით 9,000-მდე აბონენტს მიეცემა ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა.<br>* **2020 წელს** დამატებით 31,801 -მდე აბონენტს მიეცემა ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა. | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | | 0.0 | 41,000.0 | 60,000.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | 2018 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო სახსრები გათვალისწინებულ იქნა 2017 წლის ბიუჯეტში |
| | | 2.2.9 მაღალმთიანი სოფლების მცხოვრებთა ხელმისაწვდომობის ზრდა ბუნებრივი გაზის მოხმარებაზე | * **ყოველწლიურად** ყაზბეგის და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი სოფლების მუდმივად მცხოვრებ 5,700 აბონენტს აუნაზღაურდება მიწოდებული ბუნებრივი გაზის ღირებულება | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | | 8,000.0 | 8,000.0 | 8,000.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.2.10 საქართველოს რეგიონებში გარე სავარჯიშო მოწყობილობების მონტაჟი | * **2018 წელს** გარე სავარჯიშო მოწყობილობები დამონტაჟდება 10 მუნიციპალიტეტში;<br>* **2019 წელს** დამონტაჟდება 15 გარე სავარჯიშო მოწყობილობა; | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 150.0 | 220.0 | 0.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.2.11 სპორტის ინფრასტრუქტურის განვითარება | * **2018 წელს** რეგიონებში აშენდება 2 ორდარბაზიანი მულტიფუნქციური სპორტული დარბაზი.<br>* **2019 წელს** რეგიონებში დასრულდება 2 ორდარბაზიანი მულტიფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობა; 3 ფეხბურთისა და რაგბის მოედანი. | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 20,000.0 | 10,000.0 | 0.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.2.12 მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელებისთვის ფინანსური დახმარება | * **2018 წელს** სახელმწიფო დახმარებას მიიღებს 400 ბენეფიციარი<br>* **2019 წელს** სახელმწიფო სტიპენდიას მიიღებს 450 ბენეფიციარი<br>* **2020 წელს** სახელმწიფო სტიპენდიას მიიღებს 330 ბენეფიციარი | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 300.0 | 250.0 | 250.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
